## Erasmus+

# სალექციო კურსი ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მიმართულებით, გაზის უნივერსიტეტში

2021 წლის 4-8 ოქტომბერს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოც. პროფ. თამარ ქაჯაიამ, Erasmus+ საერთაშორისო მობილობის პროექტის ფარგლებში, სწავლების მიზნით მობილობა განახორციელა თურქეთის გაზის უნივერსიტეტში (Gazi University) (ანკარა, თურქეთი).

პროექტის ფარგლებში თამარ ქაჯაიამ კოორდინატორ უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციები „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ აქტუალურ თემებზე და მასპინძელი ორგანიზაციის თხოვნით წარადგინა პრეზენტაცია ტექნიკური უნივერსიტეტის შესახებ.

ვიზიტი კეთილგანწყობილ ურთიერთთანამშრომლობისა და გაზის უნივერსიტეტის მონაწილეების მხრიდან აქტიურ მხარდამჭერ გარემოში წარიმართა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაზიარებული იქნა უნივერსიტეტში არსებული საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება.














